




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები


აპრილი, 2024

- 2024 წლის მარტში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 8.2 პროცენტი, ხოლო 2024 წლის პირველი კვარტლის საშუალო ზრდა 7.8 პროცენტზე დაფიქსირდა
- აპრილში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.5 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.3 პროცენტს
- მარტში ექსპორტი შემცირდა წლიურად 4.4 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 17.0 პროცენტით, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 25.3 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 622 მლნ აშშ დოლარს
- მარტის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 1.7 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.1 პროცენტით წინა თვესთან
- აპრილში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა არ ჩატარებულა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.25 პროცენტზეა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 8.2 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის I კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.8 პროცენტია, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ მარტში წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტი შეადგინა.
- 2024 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.
- კლება დაფიქსირდა მშენებლობის, ენერგეტიკის, გრანსპორტის და დასაწყობების სექტორებში.


ეკონომიკური ზრდა 2024-2019




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 6.9 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი




მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 6.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.0 პროცენტით. 2023 წლის მეოთხე კვარტალის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 27.7 პროცენტზე მეტს გულისხმობს.
- 2023 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - განათლება: 30.4 % (1.3 პ.პ.)
 - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 27.3 % (0.5 პ.პ.)
 - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 26.9% (0.2 პ.პ.)
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 25.9 % (1.6 პ.პ.)
 - გრანსპორტი და დასაწყობება: 17.7 % (1.8 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 16.8 % (1.0 პ.პ.)
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: 9.9 % (0.9 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 9.4 % (1.5 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - სოფლის, საცდო და თევზის მეურნეობა: -8.1% (-0.5 პ.პ.)
 - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება: -10.6 % (-0.3 პ.პ.)

აპრილის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.5 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზონურად შესწორებული ანუალიზებული ინფლაცია, % თ/თ

საგაჭრო დეფიციტი მარტში წლიურად შემცირდა 25.3 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- მარტში ექსპორტი წლიურად შემცირდა 4.4 პროცენტით და გაუტოლდა 522.7 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 13.4 პროცენტით და გაუტოლდა 233.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 17.0 პროცენტით და გაუტოლდა 1 144.6 მლნ აშშ დოლარს.
- საგაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 25.3 პროცენტით და გაუტოლდა 621.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 2.2 პროცენტი (4.3 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 4.8 პროცენტიანი წვლილი (-29.0 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა -13.8, -1.2 და -2.0 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %




წყარო: საქსტატი

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, მარტი




იმპორტი ქვეყნების მიხედვით, მარტი



- ექსპორტის გოპ საქონელი:**
 - მსუბუქი ავტომობილები: 181.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 34.7 პროცენტი.
 - ყურძნის ნატურალური ღვინოები: 36.0 მლნ აშშ დოლარი - 6.9 პროცენტი.
 - ფეროშენადნობები: 30.4 მლნ. აშშ დოლარი - 5.8 პროცენტი.
- იმპორტის გოპ საქონელი:**
 - მსუბუქი ავტომობილები: 149.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 13.1 პროცენტი.
 - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 102.6 მლნ აშშ დოლარი - 9.0 პროცენტი.
 - ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა: 57.1 მლნ აშშ დოლარი - 5.0 პროცენტი.
- ექსპორტის გოპ ქვეყნები:**
 - ყირგიზეთი: 110.3 მლნ. აშშ დოლარი - 21.1 პროცენტი.
 - რუსეთი: 64.0 მლნ. აშშ დოლარი, - 12.1 პროცენტი.
 - ყაზახეთი: 62.4 მლნ. აშშ დოლარი, - 11.9 პროცენტი.
- იმპორტის გოპ ქვეყნები:**
 - ევროკავშირი: 327.3 მლნ. აშშ დოლარი, - 28.6 პროცენტი.
 - თურქეთი: 215.6 მლნ. აშშ დოლარი, - 18.8 პროცენტი.
 - რუსეთი: 144.6 მლნ. აშშ დოლარი - 12.6 პროცენტი.

2024 წლის მარტში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 38.9 პროცენტული კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2024-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, მარტი 2024

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	49.4	-77.6	-41.8
იტალია	45.7	7.7	0.8
აშშ	43.4	26.2	2.2
ისრაელი	20.6	13.7	0.6
საბერძნეთი	19.3	7.4	0.3
გერმანია	19.4	17.1	0.7
სხვა	51.4	-12.4	-1.8

2024 წლის მარტში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 249.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 38.9 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 107.9 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - ირლანდია: 54.2 პროცენტი (0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - საფრანგეთი: 19.3 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ესპანეთი: 15.5 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - რუსეთი: -77.6 პროცენტი (-41.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - აზერბაიჯანი: -67.9 პროცენტი (-0.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყირგიზეთი: -60.8 პროცენტი (-0.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - თურქეთი: -46.4 პროცენტი (-0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

მარტში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.7%-ით გაუფასურდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 მაისი, 2024		1 მაი 2024 - 1 იან 2024		1 მაი 2024 - 1 იან 2023
ევრო	2.8804	▲	3.3%	▲	0.1%
აშშ დოლარი	2.6849	▲	0.2%	▲	0.6%
თურქული ლირა	0.0829	▲	9.8%	▲	74.1%
რუსული რუბლი	0.0287	▲	4.1%	▲	27.9%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	192.24	▲	3.2%	▲	16.8%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მარტი 2024)	147.05	▼	-0.6%	▲	1.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, აპრილი 2024




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2024 წლის აპრილში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,909 მლნ ლარი, რაც 15.7 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2024 წლის მარტში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 43.9 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 7.4 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო საღლომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაშაულს, შეადგინა 826.7 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი საღლო კი განისაზღვრა 482 მლნ ლარით.
- 2024 წლის მარტში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და აქციზის გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 3.5 და 1.4 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




- 2024 წლის აპრილში ჩაგარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 273 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.2%-ზე დაფიქსირდა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 80 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები. განხორციელდა 40 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ობლიგაციების დაფარვა.

უმისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 აპრილი)





- სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცლია. 2024 წლის 30 აპრილისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 37.1% ფორმირებულია (წინა პერიოდში 38.5% იყო) იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღეგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-დან 5 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 27.8%). 5 წლიანი დაფარვის მქონე ფასიანი ქაღალდების წილი 21.1%-დან 22.8%-მდე გაიზარდა.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (მარტი 2.07) შედარებით შემცირდა და 1.71 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სესხების ლარიზაცია






დეპოზიტების ლარიზაცია






- 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.2 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 72 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 48.9 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 73.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 35.5 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 54.2 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 46.8 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 43.2 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სეზ




- 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 19.3 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 23.5 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.7 პროცენტს შეადგენს.
- 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 19.5 პროცენტს გაუგოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 19.1 პროცენტს გაუგოლდა.
- 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.2 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 26%-ით, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 11.8 პროცენტით გაიზარდა.




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის 31 მარტის 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.5 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 29.8 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 11.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 17.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 20 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2024 წლის აპრილის დასაწყისში შეადგინა 15.8 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 31.2 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 8.8 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




- საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა 2024 წლის აპრილში არ გამართულა და შესაბამისად 8.25%-იანი რეფინანსირების განაკვეთი მოქმედებდა.
- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიმზე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის მიზეზებია როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები; რუსეთ-უკრაინისა და პანდემიისაგან გამოწვეული საგარეო შოკები შესუსტებულია, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ როლს ინფლაციის ფორმირებაში. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაციის კლება და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გავლენები ფასებზე. შემცირებულია ინფლაციური მოლოდინებიც. მიმდინარე წლის აპრილში ფაქტობრივმა ინფლაციამ 1.5 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეგაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რაც ინფლაციის დასტაბილურებას უწყობს ხელი. მიუხედავად მემოთ აღნიშნული ტენდენციებისა ინფლაციის ზრდის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მწვავე გეოპოლიტიკური სიტუაციითან ერთად სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი გემპით შერბილებისაკენ.
- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2024 წლის 8 მაისს ჩატარდება.
- 2024 წლის აპრილში ეროვნულ ბანკს სავალუტო ბაზარზე ჩარევა არ განუხორციელებია.

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.7 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.4 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.8 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.0 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.7 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 13.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.6 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 15.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.8 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის მარტის ბოლოს 12.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.4 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.4 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო